ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5108778

ნომერი: AR1762975

თარიღი : 01.09.2020

გაცემის თარიღი : 18.09.2020

გაცნობის თარიღი : 22.09.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , მე-7 კილომეტრი (ნაკვეთი 07/039);

დამკვეთი-განმცხადებელი
- დიმიტრი ადამია პ/ნ 01024028596
- თბილისი, ლვოვის 91

ორგანიზაცია:
- შპს ,,იტონგ კავკასუს" კოდი: 405154130

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა შეისწავლა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია ლანდშაფტური მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობაზე .

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს განცხადებაზე სამსახურის პოზიცია გეცნობათ № 5088960 გადაწყვეტილებით და სამსახური თქვენს საკითხზე იმსჯელებს მხოლოდ მითითებული პირობების და რეკომენდაციის გათვალისწინებით შესრულებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში . ხოლო რაც შეეხება თქვენს შენიშვნას: მსგავსი სამუშაოების ჩასატარებლად მიმდებარე მიწის ნაკვეთზე გაცემულია თანხმობა (AR1342839). გთხოვთ გასცეთ მსგავსი ტიპის ნებართვა ან წერილობითი თანხმობა იმის შესახებ, რომ შესაძლებელია მიწის ნაკვეთის მოსწორების სამუშაოების ჩატარება წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ტოპოგეგმის) შესაბამისად.

ამაზე განგიმარტავთ, რომ აღნიშნული საქმის წარმოების შემდგომ შეცვლილია როგორც კანონმდებლობა ასევე რეგულაციები შესაბამისად , სამსახური თქვენს მინიშნებას და ანალოგიას ვერ მიიღებს ცნობად თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით გასცეს თანხმობა ლანდშაპტური მშენებლობის კუთხით .

ამასთან თუ თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოები არ წარმოადგენს ლანდშაპტურ მშენებლობას და თუ გეგმავთ მხოლოდ მიწის დაყრა მოსწორების სამუშაოებს აღნიშნულზე გაცნობებთ, რომ დაგეგმილი სამუშაოები არ შედის იმ ობიექტთა/სამშენებლო სამუშაოთა ნუსხაში, რომლითაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაიცემა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების გათვალისწინებით მშენებლობა, მონტაჟი/დემონტაჟისათვის(კანონმდებლობით დადგენილი წესით)მშენებლობის ნებართვა ან წერილობითი დასტური.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება“ და შესაბამისად სამსახური ვერ მიიღებს საქართველოს კანონმდებლობის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას და სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.